პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ოთხშაბათი, 30 ივლისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი მეომარი

№ 560

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

მოუარეთ ცხენს.

ის ჩვენი მეგობარია ლხინში და ჭირში.

ცხენი ერთი თვინიერ და ჭკვიან ცხოველთაგანია. მასთან ერთად იგი არის სუფთა და აზიზი.

ვაგლახად იქნება მან შესჭამოს უბრალო საკვები, დალიოს უბრალო წყალი.

იგი პირველ ყოვლისა ყნოსვით გასინჯავს საკვებ ან სასმელ მასალას, დარწმუნდება მის ვარგისობა-არ ვარგისობაში და მხოლოდ შემდეგ შესჭამს ან შესვამს.

დიდ სამსახურს უწევს იგი ადამიანს სასოფლო-მეურნეობაში.

დიდი და დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლია მას ჯარში.

ეწევა კიდეც.

ცხენები, რომ არ გვყავდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ცხენოსან ჯარის ყოლა, შეუძლებელი იქნებოდა მიმოსვლა, გაჭირვებულ მდგომარეობაში გვექნებოდა ჯარის მომარაგება სურსათ-სანოვაგით.

ამიტომ ათჯერ და ასჯერ უფრო მოვალენი და ვალდებულნი ვართ მივაქციოთ ყურადღება ჩვენდამი ჩაბარებულ ცხენებს.

ის პირუტყვია. ენით არას იტყვის. მაგრამ იტყვის უფრო უარესით. ერთ მშვენიერ წუთს მიასობს ფეხებს და აღარ დაინძრევა.

ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა ვიფიქროთ, როგორც მის კვება-სმაზე აგრეთვე იმაზედაც, რომ ცხენი დროზე იყოს დაბანილი, დროზე იყოს დაჭედილი. უსუფთაობა უჩენს მას სხვა და სხვა ავადმყოფობას.

დაუჭედლობა უბეგვავს ფეხს, ამტვრევს ფოლს.

მოუარეთ ცხენს. ის ჩვენი მეგობარია ლხინში და ჭირში.

ირს მეორე ინტერნაციონალი-ბურჟუაზიის ერთგული დამცველი და მუშათა კლასის მოღალატე.

„ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ომს! ჩვენ არ უნდა დაუშვათ საშინელი სისხლის ღვრა და ძმათა ხოცვა". ასე გაჰყვიროდა ყველა ქვეყნის სოციალ დემოკრატია და მთელი მე-2-რე ინტერნაციონალი 1914 წლის წინ.

მაგრამ დადგა ომის დაწყების წუთი.

საჭირო შეიქმნა თავის სიტყვების შესრულება—სასტიკი ბრძოლა ომის წინააღმდეგ.

და აი აქ ჩაყვითლებულმა, ოპორტიუნიზმის ჭაობში ჩავარდნილმა მეორე ინტერნაციონალმა გამოაშკარავა თავისი გამცემლური სახე. ომის წინააღმდეგ მასების მობილიზაციის მაგიერ, მან ამ უკანასკნელს მოუწოდა „სამშობლოს" დაცვისაკენ, რაც ნიშნავდა იმპერიალისტური სისხლის ღვრისთვის მხარის დაჭერას.

სამოქალაქო ომის მაგიერ, გამყიდველ სოციალ-დემოკრატიამ სამოქალაქო ზავისაკენ მოუწოდა მშრომელთა კლასს.

იმპერიალისტური ომის ნამდვილ მიზეზების ახსნისა და მთელი მისი მტაცებლური შინაარსის გამოაშკარავების მაგიერ მუშათა კლასისათვის, მან პირიქით ეს ომი აღიარა უკანასკნელ და განმათავისუფლებელ ომად, რომლის შემდეგ სრული მშვიდობიანობა და კაცთმოყვარეობა დადგებაო.

თავისი მოქმედებით ყვითელ ინტერნაციონალმა უმაგალითო სამსახური გაუწია მსოფლიო მძარცველებს, ვინაიდან მან გაიყოლია მრავალ მილიონიანი მშრომელთა არმია იმპერიალისტურ სასაკლაოზე.

სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა მუშათა კლასი და გასცა ის ბურჟუაზიას.

პროლეტარიატი მოსტყუვდა და წამოეგო ყვითელ ინტერნაციონალის ანკესზე, ვინაიდან ის ენდობოდა მას.

მაგრამ, სოციალ-დემოკრატიამ მუშათა კლასს უღალატა არა მარტო მაშინ, იმპერიალისტურ ომის დროს, არამედ სისტემატიურად ღალატობს და ჰყიდის მუშათა კლასის ინტერესებს ყოველ დღე, ყოველ წუთს.

სოციალ-დემოკრატია მუშათა კლასის საშინელი შინაური მტერია, რომელიც ასუსტებს მის ძალებს, ანადგურებს მის ძლევა-მოსილებას. რომ არ იყოს სოციალ-დემოკრატია მუშათა კლასის შეტევა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის მსვლელობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

საერთაშორისო მენშევიზმი—აი მთავარი დაბრკოლება, ბურჟუაზიის საუკეთესო დამცველი, რომელსაც უპირველეს ყოვლისა ბოლო უნდა მოუღოს რევოლიუციონურ პროლეტარიატმა.

არავისთვის დღეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბურჟუაზია გამალებით ემზადება ახალ ომისთვის, რომ ჩვენ ვდგევართ კვლავ ახალ იმპერიალისტურ სისხლის ღვრის დაწყების წინაშე. ამას ბრმაც ხედავს დღეს.

და მოღალატე სოციალ-დემოკრატიაც ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას. ის კვლავ ისე, როგორც 1914 წლის იმპერიალისტურ ომის წინ, დღეს გამოდის და დიდის რიხით „პროტესტს აცხადებს" ომის წინააღმდეგ.

რა სურს ამით ყვითელ ინტერნაციონალს?

მას სურს აღადგინოს თავისი დაკარგული ზეგავლენა მუშათა კლასზე, მოისყიდოს ის ამ ლოზუნგით და შემდეგ, როდესაც დადგება ყაჩაღური ომის წამი, კვლავ უღალატოს მას, კვლავ ერთგული სამსახური გაუწიოს თავის ბატონს, ყოვლის შემძლე კაპიტალს.

ასე ფიქრობს საზიზღარი სოციალ დემოკრატია.

მაგრამ ასე არ ფიქრობს მუშათა კლასი. თუ 1914 წელში მე-2 რე ინტერნაციონალმა დაიყოლია მუშათა კლასი და ჩააბა ის საშინელ ხოცვა-ჟლეტაში, დღეს ის ამას ველარ შესძლებს.

ძლიერ ბევრი განიცადა ათი წლის განმავლობაში მუშათა კლასმა. მან უკვე ისწავლა თეთრის და წითლის გარჩევა. მას დღეს ვერ მოატყუილებს.

არა ნდობას და თანაგრძნობას მიიღებს დღეს სოციალ-დემოკრატია მსოფლიო პროლეტარიატის მხრივ, არამედ საშინელ წყევლა-კრულვას და სასტიკ წინააღმდეგობას.

მენშევიზმი ბურჟუაზიის საუკეთესო დამცველია—ამიტომ ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ—აი პროლეტარიატის მორიგი ფრონტი, რომელზედაც გამარჯვება ნიშნავს ბურჟუაზიის სანახევროდ დამარცხებას.

—ე.

გერმანია-საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაცია

„ფორვერტსი"-ს ცნობით ამ დღეებში დამთავრდება მოლაპარაკება გერმანია-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ.

გაზეთი ამბობს, რომ უკვე გამონძებნილია ორივე მხრისთვის მისაღები ფორმულიროვკა საბჭოთა წარმომადგენლობის საკითხში.

გაზ. „ფორვერტსი" ესალმება კონფლიქტის ლიკვიდაციას.

მელითონეთა გაერთიანებულ პროფკავშირთა საერთაშორისო კონგრესი.

ვენაში გაიხსნა მელითონე მუშათა გაერთიანებულ პროფკავშირთა საერთაშორისო კონგრესის. (ეს პროფკავშირები ემხრობიან ამსტერდამის ინტერნაციონალს)

თავი მოიყარა 20 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

კავშირის სეკრეტარიატის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა მდივანმა ილგამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებულ კავშირის საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

საერთაშორისო გაერთიანებულ კავშირს შეუერთდა ევროპის მელითონეთა ყველა ორგანიზაციები ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ კავშირების გამოკლებით.

სეკრეტარიატი სცდილობს მოიმხროს ამ კავშირში ინგლისისა და ამერიკის ორგანიზაციები.

ზოგიერთ ინგლისის კავშირებმა გადასწყვიტეს შეუერთდენ გაერთიანებულ კავშირს.

ინგლისის მელითონეთა წარმომადგენელმა ბრაუმლეიმ შეკითხვა შეიტანა საბჭოთა კავშირის შესახებ. მომხსენებელმა უპასუხა, რომ საერთაშორისო გაერთიანების ცეკამ გადასწყვიტა მიმართოს კონგრესს წინადადებით მიიღოს მხედველობაში წარმოებული მოლაპარაკებანი საბჭოთა კავშირთან და ვინაიდან უკანასკნელმა დღემდის არ განაახლა მოლაპარაკება გადავიდეს დღის წესრიგზე. კონგრესი დასთანხმდა.

სხდომა მიდის დახურულ კარებში. კონგრესის მუშაობაზე თავსდება მოკლე ოფიციალური ცნობები. პრესის წარმომადგენლები ყველა ესწრება, გარდა საბჭოთა კავშირისა.

როსტას კორესპონდენტის ცნობით რუსეთის საკითხი გაცხოველებულ მსჯელობის საგანი გახდა კონგრესზე.

მემარჯვენე ფრთის უკიდურესი წარმომადგენლები უსარგებლოდ სთვლიან საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გაგრძელებას, ვინაიდან, მათი აზრით, უკანასკნელის თავდაჭერა კავშირში შესვლის შესახებ ნიშნავს იმას, რომ ის სერიოზულად არ ეპყრობა ამ საკითხს.

საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ თუ დაშვებული იქნება კავშირში საბჭოთა კავშირი, ჩვენ გამოვალთ გაერთიანებიდანო. მსგავსადვე უყურებს საბჭოთა კავშირის შესვლას ჩეხო-სლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, სამხრეთ სლავიისა და ჰოლანდიის. დელეგაციები.

კონგრესის მიერ მიღებული წინადადება რუსეთის საკითხში დათმობითი ხასიათისაა, რაიც ამოწმებს კონგრესის მოლოდებითი პოზიციას.

რუსეთის საკითხი შეიძლება კვლავ დაისვას.

მოკავშირეთა კონფერენცია.

კონფერენციის პლენარულ სხდომის გათავების შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა, რომ სხდომა მოხდა მაკდონალდის თავმჯდომარეობით.

გადაწყვიტილ იქნა იურისტების კომისიის შედგენა საფრანგეთ—ბრიტანეთის მემორანდუმის განსახილველად.

კომისიაში შედიან ბელგიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და შეერთებულ შტატების წარმომადგენლებისაგან. შეერთებული შტატების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ, როგორც მეთვალყურეები.

იურისტების მოხსენებაში ნათქვამია, რომ ვერსალის ზავმა, სადაც ის ეხება გერმანიის ზოგიერთ შემოსავალს, მიანიჭა მას მოქმედების თავისუფლება ზომებისა და სახსრების გამოძებნაში ვალდებულებათა ასასრულებლად.

ამ მხრივ დოუესის გეგმა განირჩევა ვერსალის ხელშეკრულებისაგან, ვინაიდან ის მიუთითებს წყაროებს, საიდანაც უნდა გამონახონ სახსარი ვალების გადასახდელად.

ვინაიდან ვერსალის მოლაპარაკებამ გახადა სარეპარაციო კომისია მოკავშირეთა სახელმწიფოებისათვის სარეპარაციო გადასახადების ამღებ ორგანოდ, ამავე სარეპარაციო კომისიამ უნდა დაადგინოს აღნიშნული სეპარატიული შეთანხმება სარეპარაციო გადასახადებზე.

დოუესის გეგმის გატარება მოითხოვს მოკავშირეთა შეთანხმებას ზოგიერთ მუხლებში. კერძოდ ეს ეხება იმ ზომებს, რომლებიც უნდა იქნან მიღებული იმ შემთხვევაში, თუ გერმანიამ არ შეასრულა თავისი ვალდებულება.

ეს მოკავშირეთა საქმეა.

მაგრამ მით უმეტეს არავის შეუძლია უარყოს, რომ საკითხი ეხება მეტად ახლოს გერმანიის მთავრობას, განსაკუთრებით მოსალოდნელ სესხის გამო.

დოუესის გეგმა მოითხოვს სხვათა შორის სამი სხვა და სხვა სეპარატიული შეთანხმების დადებას და ეს შეთანხმებები შეფარდებულ უნდა იქნეს ერთი მეორეში, ხოლო შემდეგ გაირჩეს და ხელი მოაწერონ კონფერენციაზე.

სნოუდენმა აცნობა კონფერენციას, რომ პირველი კომისიის მუშაობაში ახალი არაფერი არ არის.

ტომასმა წარმოადგინა მეორე კომისიის მოხსენება გერმანიის ეკონომიურ ერთიანობაზე, რომელიც მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ.

რობერტ კინტერსლიმ განაცხადა, რომ მესამე კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა.

კიდევ არ იწვევენ.

ვინაიდან ამ ჟამად მრავალი ახალი შესათანხმებელი ფორმულები წამოიჭრა, პლენარულმა სხდომამ დაადგინა, რომ გერმანია არ იქნას მოწვეული კონფერენციაზე.

ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიის შურისძიება.



კარლ ლიბკნეხტი
იძულებითი სამუშაოზე.

ფაშიზმის სამეფოში.

ფაშისტების იეზუიტური პოლიტიკა.

დიდმა ფაშისტურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოს კანონიერად მიაჩნია ფაშისტების სინდიკატების მოთხოვნილება, ზოგიერთ კატეგორიის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. რეზოლიუცია მოუწოდებს ფაშისტებს დახმარება გაუწიონ ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარ კონფლიქტების მოგვარებაში. ამავე დროს რჩევას იძლევა მოაგვარონ მუშათა ინტერესების საქმე, ეკონომიკისა და ნაციის საერთო ინტერესების დაურღვევლად.

გაზეთების კონფისკაცია.

გუშინ კონფისკაცია უყვეს გაზეთ „უნიტას“ ნომერს, რომელშიდაც მოთავსებული იყო ზინოვიევის წერილი ლენინის მოღვაწეობის შესახებ 1914 და 1915 წლებში. გაზეთში გაიხსნა მსოფლიო ომზე მიძღვნილი წერილების მთელი სერია.

დღეს კონფისკაცია უყვეს „ავანტის და „როსსის სინდიკატს“. დღესვე პრეფექტურამ ბრძანება გასცა მილანის შვიდი ყოველ დღიური გაზეთების კონფისკაციის შესახებ, რომლებშიდაც მოთავსებული იყვენ წერილები მატეოტის მოკვლის შესახებ. თუმცა მუსოლინიმ ეს განკარგულება სცნო პრესის შესახებ დეკრეტის ცუდ გაგებათ და აღნიშნული ბრძანება გაუქმებული იქნა.

გერმანიაში.

დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობების თანახმად მოხდა თათბირი მაღაროს მეპატრონეთა და „მიკუმი“ს წარმომადგენლებს შორის შეთანხმების გაგრძელების შესახებ.

ახალი თათბირი დანიშნულია 31 ივლისისთვის, რაიც საშვალებას მისცემს მაღაროს მეპატრონეებს, მოითხოვოს ცნობები გერმანიის მთავრობის ინსტრუქციების შესახებ.

ბერლინში უარყოფენ ხმებს, რომ გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში ლონდონის კონფერენციაზე თითქოს შევა ბავარიის პრემიერი.

პოლონეთი

პოლონეთის ახალი კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ ითვალისწინებს სამსახურის ვადას: ქვეითა ჯარში—ორი წელი, არტილერიასა და ცხენოსანში—2 წელი და ერთი თვე; თადარიგში მოქალაქეები იმყოფებიან 40 წელი.

გასაწვევი ასაკი მშვიდობიანობის დროს 20 წელი ომიანობის დროს —19.

ბინის კრიზისი.

ამ ჟამად ბერლინში მწვავე ბინის კრიზისია.

შემოსულია 23.000 განცხადება ბინის შესახებ.

პრესის ხმა.

გერმანიის პრესა მოითხოვს, რათა მოწვეულ იქნას გერმანია კონფერენციაზე, როგორც თანასწორუფლებიანი წევრი.

სპარსეთი და შეერთ. შტატები.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო თეირანიდან ცნობა, რომ ამერიკის მოკლულ კონსულის, იმბრის მეუღლეს შეურაცყოფა მიაყენა ბრბომ ქუჩაში, ხოლო პოლიციამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

სახელმწიფო დეპარტამენტმა მიმართა სპარსეთის მთავრობას ახალი ნოტით, რომელშიაც მოითხოვს ამერიკელების დაცვას სპარსელთა გამოსვლებისაგან.

მაროკოში

რაბატიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის საექსპედიციო რაზმმა გაჰფანტა კობილთა ბანდა, რიცხვით 2.500 კაცი.

მოკლულ იქნა 100-დე აჯანყებული.

ჟორესის სახსოვრად

ჟორესის სახსოვრად გამართულ მანიფესტაციებში, რომელიც მოხდა პარიზში, მონაწილეობა მიიღო 3.000 კაცმა.

მანიფესტაციები მშვიდობიანად ჩატარდა.

როზა ლუქსემბურგი.



მოკლული სოციალ შემთანხმებელ ებერტ-შეიდემან-ნოსკეს ბანდების მიერ.

მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების მდივანთან საუბარი.

მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების მდივანი ილიგმა, რომელიც მომხრეა საბჭოთა კავშირის მელითონეების შესვლისა საერთაშორისო გაერთიანებაში, როსტას თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის მიღება პრინციპიალურად გადაწყვეტილი იყო, საბჭოთა პროფკავშირებთან მოლაპარაკების დროს. გასული წლის აგვისტოში საერთაშორისო გაერთიანების ცეკას კონფერენციამ გაარჩია ზოგიერთი დეტალური საკითხები, რომელიც დამოკიდებული იყო საბჭოთა კავშირთან შესაძლებელ თანამშრომლობასთან.

ამიტომ ცეკამ მოიწვია საბჭოთა კავშირი რათა ამ უკანასკნელს გამოეგზავნა კონფერენციაზე თავისი წარმომადგენლები ზოგიერთ საკითხების მოსაგვარებლად.

საბჭოთა ფედერაციაში

დახმარება სათესლე ხორბლით.

მოუსავლობით დაზარალებულ უკრაინის ოლქების დასახმარებლად კომისიამ საკმარისად სცნო გაცემულ იქნას 2.500.000 ფუთი სათესლე ხორბალი.

საზოგადოებრივ სამუშაოს მოსაწყობათ.

კომისიამ საჭიროდ სცნო მიეცეს მოუსავლიან გუბერნიებს ავანსად აგვისტოს თვეში 1.100000 მანეთი საზოგადოებრივი საქმეების მოსაწყობად.

მოუსავლიან ადგილების ფულით დახმარების გეგმა.

მოუსავლობის წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ მიიღო მოუსავლიან ადგილების დახმარების გეგმა. დახმარების რაოდენობა განისაზღვრება 60 მილიონი მანეთით.

გადაწყვეტილია შემოდგომის თესვის კამპანიისთვის რსფსრ-ში გადაიდოს 10 მილ. მანეთი, გაზაფხულისთვის—14 მილ. მანეთი, შინაური საქონლის შესანახად 8 მილ. მანეთი, ბავშვთა საზრდოთ— 7 მილიონი მანეთი, საზოგადოებრივ მუშაობისათვის—14 მილ. მანეთი, დანარჩენი—რეზერვის ფონდისა და მოულოდნელ ხარჯებისთვის.

ამას გარდა კომისიამ დაადგინა გამოიმუშაოს ბავშთა საზოგადოების გეგმა მოუსავლიან ადგილებში.

გვირაბი ლამანშის ქვეშ.

„პტი პარიზენმა“ გამოაქვეყნა ჩერჩილის წერილი, რომელშიაც ის გამოსთქვამს აზრს გვირაბის გაყვანის სასარგებლოდ ლამანშის ქვეშ.

ჩერჩილი უარყოფს ბრიტანეთის სახელმწიფო თავდაცვის უზენაეს სასამართლოს მტკიცებას, რომელიც გვირაბის გაყვანის წინააღმდეგ წავიდა.

რადიო ყოველ მხრიდან.

ბრაზილია.

ბრაზილიიდან მიღებული ცნობები კიდევ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ბრაზილიის მთავრობის ოფიციალური ცნობებით, მთავრობის ჯარები დიდი წარმატებით მოქმედობენ რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

ბრაზილიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ სამხედრო მინისტრმა წინადადება მისცა სან-პაბლოს მცხოვრებლებს გასწმინდონ ქალაქი, რადგანაც მთავრობას სურს თავისუფალი მოქმედების საშვალება ექნეს ბედზე მინდობილ რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

ვინ დაიწყო მსოფლიო ომი.*)

იცოდნენ თუ არა სოციალისტებმა ომის დაწყება.

სოციალისტები ომს მოელოდენ. ამ მხრივ ზომებიც იყო მიღებული. ჯერ კიდევ 1912 წ. 29 ოქტომბერს საერთაშორის სოციალისტურმა ბიურომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად იმპერიალისტურ ომისათვის სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ.

მაშინ ომი ბალკანეთში სწარმოებდა. დადგენილებაში ნათქვამია: **„დე, იცოდნენ მმართველებმა, რომ ცეცხლთან თამაში მათთვისვე არის სახიფათო. თუ ისინი დაანთებენ მთელ ევროპაში საკვირველ ხანძარს, ეს არ ჩაივლის მათვის დაუსჯელად“.** დიახ ასე ამბობდენ სოციალისტები. ასეთივე დადგენილება ქონდათ მათ 1907 წ. შტუტგარდში.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ 1914 წ., როდესაც კაცობრიობა საშინელ სინამდვილის წინაშე დადგა თვითეულ ქვეყნის სოციალისტმა თავისებური დადგენილება გამოიტანა და ამით ომს მხარი დაუჭირა.

ასე, მაგალითად, 4 აგვისტოს 1914 წ. გერმანიის სოციალისტებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფო სესხის მიცემას. ამით მათ ისტორიაში შეიტანეს შავი სტრიქონები და სამუდამოდ შეილებეს ხელი მშრომელი მასის სისხლში.

მშრომელი მასა მას ვერასოდეს დაივიწყებს.

ვინ იყვნენ ეს სოციალისტები?

ეს სოციალისტები იყვენ მეორე ინტერნაციონალის მამამთავრებიმენშევიკები. აი სწორეთ ის ვაჟბატონები, რომლებიც ჩვენში ბატონობდენ გასაბჭოებამდე და დღეს ინგლისში პარფაშობენ მაკდონალდის და სხვათა სახით.

ამ სოციალისტებმა მოუწოდეს მუშათა კლას დაეცვათ სამშობლო და კულტურა სხვა ქვეყნის ველურებისაგან.

ამ სოციალისტებმა უთხრეს ერთი ქვეყნის მუშას აელო ხელში თოფი და წასულიყო მეორე ქვეყნის მუშის მოსაკლავად. მეორე ინტერნაციონალმა მოუწოდა მუშებს ეწარმოებიათ იმპერიალისტური ომი, ომი ქვეყნების დასაპყრობათ, სიმდიდრის და ნადავლის შესაძენათ. მენშევიკებმა და ესერებმა მოუწოდეს მუშებს დაეცვათ „სამშობლო“ და ამ რიგად დაეცვათ ბატონობა მდიდრების, დაეცვათ ტახტები მეფეების და კაროლების.

აქედან აშკარად სჩანს, რომ მეორე ინტერნაციონალი მომხრე იყო ომში მონაწილეობის მიღების.

ამრიგად საბრალდებულო სკამზე მეფეებთან და კაროლებთან უნდა ისხდნენ ეს ვაჟბატონებიც, როგორც მუშათა კლასის გამცემელნი და მოღალატენი.

რას შვებოდა ამხ. ლენინი და საზოგადოთ ჩვენი-პარტია?

ამხ. ლენინი და, საზოგადოთ, ჩვენი პარტია მოუწოდებდა მუშებს სულ სხვა მხარისაკენ. ჩვენ ვამბობდით, რომ მუშებმა ეს ხიშტები უნდა მიაბრუნონ თავის მებატონეების წინააღმდეგ, ე. ი. ჩვენ მოუწოდებდით მათ სამოქალაქო ომისაკენ. ჩვენ დღესაც ამავე თვალსაზრისის ვართ. დღეს, როდესაც უკვე ათი წელი შესრულდა მსოფლიო ომის დაწყების დღიდან და როდესაც თოფის წამლის სუნი ჰაერში კვლავ ტრიალებს, ჩვენ ვდგევართ საშიშროების წინაშე.

ბურჟუაზია თავისას არ მოიშლის და იგი კვლავ გაახვევს კაცობრიობას ომის ქარცეცხლში.

ამიტომ მოგვიწოდებს კომუნისტური ინტერნაციონალი ომს ომი გამოუცხადოთ.

მუშათა კლასი მზათ უნდა იყოს ამ საზარელ დღისათვის და ჩაიგდებს თუ არა ხელში იარაღს იგი უნდა მიმართოს არა სხვა ქვეყნის მუშისა და გლეხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ თავის მეფისა, კაროლისა და მებატონისა. ამ რიგად გაჩაღდება ომი არა ქვეყნების დასაპყრობათ, არა ახალშენების შესაძენად, არამედ მეფეებისა და კაროლების ტახტიდან ჩამოსაბრძანებლად. ეს იქნება სამოქალაქო ომი. ეს იქნება ომი ორ კლასთა შორის, რომლის წარმოების დროსაც, ჩვენი უკვდავი ბელადის სახელით რომ ვსთქვათ, მუშები დაკარგავენ საკუთარ ბორკილებს, მოსპობენ ბატონობას კაპიტალისას და მთელ მსოფლიოში ააფრიალებენ თავისუფლების წითელ დროშას.

პიერ.

---

*) იხილე ჩვენი გაზეთის № 559

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

ცხენოსნების გამგზავრება საბანაკოდ.

სალამოს ჟამმა მოატანა... გახურებულ ყაზარმებში მოწყენილობაა.

იქვე ახლოს ჯგუფ-ჯგუფად მოგროვილან წითელი მხედრები და ერთი მეორეს უზიარებენ თავის სიხარულს მომავალ მგზავრობის გამო. მოუთმენლად ელიან დანიშნულ ვადას.

გაისმის ზემდეგის ხმა...

ამოკითხვაზე... სწორი მწკრივებიდან გაისმის პასუხი: აქა ვარ..... კიდევ ხელმეორედ გადაშინჯვა და არმიელები მიეცენ ტკბილ ძილს.

ჯერ კიდევ ბნელა, მაგრამ ლეგიონი ამოძრავდა.

ყველა ცხენებთანაა, რომლებიც რაღაც მხიარულად გრძნობენ თავს.

ათამაშდნენ მზის სხივები.

სმენა.

გაისმის ძახილი.

მუსიკა უკრავს. ჩამოატარეს დროშა მწკრივების წინ... ლეგიონი გაემგზავრა ბანაკისაკენ.

გზაში სიმღერა, დოლი, ორკესტრი ერთი მეორეს სცვლის.

საგრძნობლად დაცხა, როდესაც ლეგიონმა მიაწია სართიჭალას. აქ ვისადილეთ. იორის პირას გაიმართა ისევ ცეკვა და სიმღერები...

4 საათის დასვენების შემდეგ ლეგიონი ისევ შეუდგა გზას.

სიცხე აუტანელად სწვავს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. ყველა წითელი არმიელი წინ იყურება...

აი ბანაკიც.

ხალხის ზღვა...

„ეი თქვენი ჭირიმე დაუკარით“. ისმის ხმები ხალხიდან.

ორკესტრი გუგუნებს. მოქალაქენი მხიარულად უცქერიან არმიელებს და სალამს აძლევენ..

აგერ ფანჯარაში გამოყო თავი მოხუცმა ქალმა და დაიძახა:

დაუკარით შვილებო, დაუკარით!

ორკესტრი კვლავ გრიალებს და ახმაურებს მთებს.

მივედით ბინაზე. მთის კალთებში ჩამწკრივებულია კარვები. აქვე გვერდზე საუცხოვო წყალი, ცივი, როგორც ყინული. ლეგთავმა მოულოცა ლეგიონს საბანაკოთ ჩამოსვლა.

მეორე დღეს სწრაფათ კეთდება ცხენების საბმური... არმიელები ერთი მეორეს ეცილებიან მუშაობაში.

ყველა სცდილობს მორთოს, შეამკოს ლეგიონის საცხოვრებელი ალაგი, ასეთია ჩვენი ცხოვრება დაბანაკების პირველ დღეებში.

სინათლე.

მომავალ წითელ მეთაურთა შორის.

დაახლოვებით ივნისის ბოლო რიცხვებში შესდგა ქართულ მეთაურთა გაერთიანებულ სამხ. სკოლის წითელ მეთაურთა ბიუროს ღია კრება. კრებას წითელ მეთაურების გარდა დაესწრენ ზოგიერთი ძველი მეთაურებიც.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: მეორე ლეგიონის წითელ მეთაურთა ბიუროს ოქმების განხილვა, მომ. კავშირის საშუალებანი და წითელ მეთაურთათვის საჭირო სახელმძღვანელოების მიწოდება.

ამხ. შელია კითხულობს მეორე ლეგიონიდან მიღებულ ოქმებს.

პრაქტიკულ წინადადების მთელი რიგი, რომელიც წამოყენებული იქნა ამხ. ბუაჩიძის და სხვების მიერ, წითელ მეთაურთა ახალ ყოფა ცხოვრების შექმნის შესახებ, გადაეცა ბიუროს დაუყოვნებლივ გადასამუშავებლად და ნაწილების წითელ მეთაურებისათვის მისაწოდებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართ. მეთ. სკოლის წითელ მეთაურთა ბიუროს მიერ გადადგმული ნაბიჯები, ახალ ყოფა ცხოვრების მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია და მოიტანს სათანადო შედეგებსაც, თუ გამოეხმაურებიან მას ადგილებზე. მაგრამ სამწუხაროდ ცოცხალი კავშირის უქონლობა მეტად აბრკოლებს მუშაობის წარმოებას.

ჯერ საორგანიზაციო საკითხი არ დამთავრებულა, იმის გამო რომ მე-3-მე ლეგიონის ამხანაგები არ გამოხმაურებიან ჩვენს დირექტივებს და დუმილით გვიპასუხებდენ.

„დუმილი თანხმობის ნიშანია“ ო იტყვიან ხოლმე, მაგრამ აქ მე-3-მე ლეგიონის წითელ მეთაურების აზრს მომავალ ჩვენი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ნუ დარჩება ჩვენი ბიუროს ხმა, „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

წით. მეთაური: **ი. მალალაშვილი.**

1-ლ კვეითა ლეგიონში.

გაზ. „წითელ არმიელში“ ხშირად არის აღნიშნული ჩვენს ლეგიონში არსებულ სხვა და სხვა წრეების მუშაობის შესახებ, რომელიც მეტად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მე აქ შევეხები მხოლოდ ლეგიონის დრამატიულ წრეს, რომელიც თავისი მუშაობით სრულიად არ ჩამორჩება სხვა წრეებს.

წრემ უკვე მოაწყო 4 წარმოდგენა და მუშაობს ყოველ დღე.

აღსანიშნავი იყო 24 ივლისს, ხუთშაბათს გამართული წარმოდგენა.

დაიდგა სამ მოქმედებიანი კომედია „მაწანწალა სამოთხეში“. დაესწრენ აუარება წითელ არმიელები.

მართალია, პიესა სუსტად იქნა ჩატარებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ამართლებს დადგმას, რადგანაც პიესა ჩაატარეს იმ წითელ არმიელებმა, რომელთაც პირველად მოუხდათ სცენაზე გამოსვლა.

პიესა დასდგეს 1-ლ ტყვიამფრქვევ გუნდის წ. არმიელებმა.

კლუბის უფროს და დრამწრის ხელმძღვანელს ეტყობათ, რომ ისინი ცდილობენ წითელ არმიელების მუშაობაში ჩათრევას.

ზოგიერთ ნაწილებში კი იყენებენ უფშემადგენლობას და დაქირავებულ მსახიობებს.

მართალია, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი წარმატებით იქნება ესა თუ ის პიესა ჩატარებული, მაგრამ აუცილებლად უფრო დიდი და განუზომელი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ აქ, ამ მუშაობაში ჩვენ ჩავითრევთ მცონარე, ახლად მოსულ და გამოუცდელ მოლაშქრეებს.

ძ—ლი გუდაშვილი.

საფუძველი ჩადგმულია.

ივლისის 28. დილაა.

2-რე ტერლეგიონის წითელ არმიელებით მოფენილია მიდამო. ყველგან ხმაურობა, საქმიანობაა.

ჩვენთან სდუღს და გადმოდის ცხოვრება. ლეგიონის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება მეტად დიდ შრომას მოითხოვს და ეს შეგნებულად გვაქვს გათვალისწინებული.

ყველა დიდ პასუხისმგებლობის გრძნობით არის გამსჭვალული.

იღება კომუჯრედის ბინის კარები და გამოჩნდა ჩვენი სამხკომი, რომელსაც ხელში უჭირავს ჩვენი დიდი ბელადებისა სურათები და პლაკატები.

პოლიტ მომუშავენიც ეხვევიან გარშემო და ყველას სურს უკეთესი სურათები, პლაკატები და მატერიები ჩაიგდონ ხელში წითელი კუთხეების მოსართავად.

გაჩაღდა გაცხარებული მუშაობა. სამხკომის დახმარებით ფიცხლად მოეწყო წითელი კუთხეები.

არმიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს, ყველა ძლიერ დაინტერესებული არიან კუთხეებით და გულის ფანცქალით მოელიან იქ მეცადინეობას.

ჩვენმა სამხკომმა უკვე საფუძველი ჩაუდგა მეორე ლეგიონს, მუშაობის წარმოებას და ლეგიონის საერთო ორგანიზაციისათვის სწორი გეზია აღებული. ჯერი ეხლა უფპოლიტ შემადგენლობაზეა მიმდგარი. საფუძველზე მათ უნდა ააგონ ლეგიონის მტკიცე კედლები და თავდადებულად იმუშაონ მისი გაძლიერებისათვის. გაუმარჯოს მეორე ლეგიონს და მისთვის გულშემატკივარ უფპოლიტ და მთელ მის შემადგენლობას.

შენი ვარ.

კურსანტების წმენდა

1922 წლის გამოშვების დროს ბევრმა უღირსმა ელემენტებმა მიიღეს წითელ მეთაურის სახელ წოდება. ეხლაც რომ არ მომხდარიყო ასე, უფროს მეთაურთა სკოლის ეხლანდელ კურსანტთა შემადგენლობა უნდა გაწმენდილიყო.

ეს დადგენილება ჩქარა სისრულეში იქნა მოყვანილი.

19 ივლისს დაიწყო სკოლის კურსანტების წმენდა, რომელსაც აწარმოებდა პარტ-ბიურო სკოლის უფროსისა და კომისრის თანდასწრებით.

წმენდა გაგრძელდა 4 დღე და ნაყოფიც დამაკმაყოფილებელი მივიღეთ. 24 ივლისის წმენდაში მოყვენ და სკოლიდან დათხოვნილი იქნენ 48 კურსანტი. მათ შორის 11 უფროს კურსელებია, რომლებსაც სექტემბერში უნდა დაეთავებიათ სკოლა.

მართალია 48 კურ. ეს დიდი რიცხვია ჩვენი სკოლისთვის, მაგრამ დაე, ვიყვეთ რიცხვით მცირე და ღირსებით კარგი. ეს უკეთესი იქნება ჩვენთვის, ვინემ შებრუნებულად.

წმენდის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა: ლოთობას, წესრიგის დარღვევას, უდისციპლინობას და იყო თუ არა კურსანტი საიმედო.

სხვათა შორის წმენდაში ბევრი ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები მოყვენ.

ჩვენი რიგები ამჟამად მეტად საიმედო ელემენტებისაგან არის სავსე. აქ დარჩა ყველა პატიოსანი და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული.

იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი სკოლა განუზომელად მკაცრი იქნება იმათ მიმართ, რომლებიც მხოლოდ ოფიცრის სახელის მიღებისათვის არიან ჩვენთან შემოსული. ჩვენი სკოლა და მის მიერ გამოშვებული წითელი მეთაურები მშრომელი ხალხისა და მისი ხელისუფლების ერთგული დამცველი უნდა იქნენ. ეს არის ჩვენი მიზანი.

ა. ჭკადუა.

კაპიტალის შურისძიება.



გერმანიის პროლეტარიატის ბელადი კარლ ლიბკნეხტი. სოციალ-შემთანხმებელ ებერტ-შეიდემან—ნოსკეს ბანდების მიერ მოკლული.

ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების საქმე თელავის მაზრაში.

1903 წ. დაბადებულთა შორის მუშაობა დაიწყო შვიდ ივლისს. მთელს მაზრაში წვევამდელნი დიდი სიხარულით შეხვდენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

არც ერთ რაიონში არ ჰქონია დეზერტირობას ადგილი. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში სამი დღე.

პოლიტ საათს ყველანი სისტემატიურად ესწრებიან.

თითეული წვევამდელი სცდილობს პირველობა დაიკავოს ამხანაგებში.

ყველა პუნქტებზე გამოყოფილია ა. კ. ვ. კოლექტივები. შეძლების და გვარად ეწყობა „ლენინის კუთხეები“. არიან არჩეული კორესპონდენტები, მაგრამ დღემდის მათ არ ჰქონდათ საშუალება „წით. არმიელში“ რაიმე მოეთავსებინად. გვაბრკოლებდა თვით გაზეთის უქონლობა. დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია.

ყველა პუნქტს ეგზავნება ორ ორი ეკზემპლიარი „წით. არმიელის“, და თითო ეკზემპ. „სპარტაკი“.

წერა კითხვის უცოდინარი წვევამდელები თითქმის 70 პროც. უდრის, რომელიც დიდათ ილტვიან სწავლისათვის.

ეწყობა აგრეთვე შაბათობა, რაიც გამოიხატება უფრო ღარიბ წვევამდელის ოჯახის, ქვრივ ობლების და დასახიჩრებულთ ოჯახების დახმარებაში. შაბათობა ეწყობა აგრეთვე საერთო საქმის გაკეთების მიზნით. როგორც მაგ. კურდღელაურის პუნქტმა, ს. კურდღელაურის წყაროს არხი გასჭრა 15 საჟენზე. შაბათობაში მონაწილეობას ღებულობდა უფშემადგენლობა. ყველა ადგილობრივი დაწესებულებები შეძლებისამებრ გვიწევენ დახმარებას, რომელსაც ხელმძღვანელობს „დამხმარე საბჭო“. ცენტრიდან ამ ხნის განმავლობაში დიდ ყურადღებას გვაქცევენ.

საერთოდ მუშაობა დიდი ენტუზიაზმით მიმდინარეობს. ყველა სცდილობს საქმის უფრო კარგად დაყენებისათვის. ყოველგვარი იმედია, რომ მომავალში უფრო მეტს გავაკეთებთ.

„კახელი წვევამდელი“

პირველ ლეგიონის ბიბლიოთეკა.

ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს, როგორც ტეხნიკურ, ისე მისი იდეური მხრის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. ტეხნიკური მუშაობა და ბიბლიოთეკის ამ მხრივი გადახალისება ჯერ კიდევ ყაზარმებში ყოფნისას დავიწყეთ და ეხლა თითქმის სავსებით მოთავებულია. ამ ჟამად დარჩენილ სამუშაოს ვასრულებთ ბანაკში, სადაც, თითქმის მთლიანათ გადმოტანილია სამკითხველოცა და ბიბლიოთეკაც. ჩვენ გვყავს 300-მდე მკითხველი. ამათში დიდი ნაწილი უფ-და პოლიტშემადგენლობაა. წითელ-არმიელები უფრო ეტანებიან გუნდებში გამართულ კუთხეებს, რომლებსაც ჩვენ კოლექტიურ აბონომენტის სახით ვაძლევთ—20—25 წიგნს, და ყოველდღე სისტემატიურათ ვაწვდით თითქმის ყველა ქართულ გაზეთებს და ზოგ გუნდებს რუსულსაც. ასეთი კოლექტიური აბონომენტი—ჩვენ ჯერ-ჯერობით გვაქვს შვიდი. ლეგიონის ბიბლიოთეკაში გვაქვს დაახლოვებით 5,000 მდე წიგნი. ამათში ქართული წიგნები დიდ უმცირესობას შეადგენს, (მხოლოთ 1000 ცალი თუ იქნება) მაგრამ ამ ნაკლს საკმაო ყურადღება აქვს უკვე მიქცეული და ჩვენ თანდათანობით ვღებულობთ კოლექტორიდან საგრძნობ რაოდენობით ქართულ წიგნებს. ამ დღეებშიც მოველით დიდ პარტიას ახალ გამოცემულ წიგნებისას სხვა და სხვა დარგებიდან. მოგვდის აგრეთვე სისტემატიურათ ყველა ადგილობრივი ქართულ-რუსული გაზეთები, „Красный воин“ის გამოკლებით და მოსკოვის ზოგიერთი გაზეთები, მხოლოთ ამათ, სამწუხაროთ, არა აქვთ სისტემატიური ხასიათი, ვღებულობთ სამხედრო ჟურნალებსაც.

იდეური მუშაობა შემდეგში გამოიხატება: ყოველ წითელ კუთხეში სისტემატიურათ იმართება წითელ არმიელებში ხმა მაღალი კით-

ხვები ახსნა-განმარტებებით მათთვის საინტერესო და ახლოს მდგომ საკითხებზე. მათ ჩვენ შერჩევით ვაწვდით (ზემოხსენებულ კოლექტიურ აბონომენტების სახით) რამოდენიმე წიგნს, საიდანაც წ. არმიელები მეტი ხალისით ეტანებიან მათ კითხვას. (კუთხეების მკითხველები, ზემონაჩვენებ 300 მკითხველში ცხადია არ შედის). თითეულ წითელ კუთხეს ჰყავს გამგე, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენთან, აწარმოებს მის მიერ გაცემულ წიგნების ანგარიშსს და საერთოთ ზრუნავს ჩვენი ხელმძღვანელობით, როგორც თავისი კუთხის იდეურ—ისე გარეგნულ მოწყობაზე, რაიც სხვა და სხვა დიაგრამების, რუქების, ბელადების სურათების, ბიუსტების და სხვა ამგვარი საგნებით კუთხის გამშვენიერებით ხასიათდება.

წითელი კუთხის გამგეებიდან ჩვენ შემდგარი გვყავს, ე. წ. საბიბლიოთეკო საბჭო, სადაც, სხვა და სხვა მიმდინარე საკითხებს გარდა, წმინდა საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ მეცადინეობას ვაწარმოებთ.

ამ დღეებში, ჩვენ გადავწყვიტეთ ამ მუშაობას უფრო ფართო ხასიათი მივცეთ და დავაარსოთ საბიბლიოთეკო წრე, სადაც მზგავსი საბიბლიოთეკო მეცადინეობა—უფრო ფართო მაშტაბით ჩატარდება. წრეში ცხადია შევლენ წითელ-არმიელთა და გუნდის—ბიბლიოთეკიდან დაინტერესებული პირები. წრეს ექნება თავისი, საბიბლიოთეკო ხასიათის ჟურნალი.

საერთოთ, უნდა ითქვას, რომ აქ ბიბლიოთეკას ყველა განსაკუთრებული პატივისცემით და მისი მნიშვნელობის სრული შეგნებით ეკიდება. სხვათა-შორის ალსანიშნავია აქ, სამხედრო კომისრის, ამხ. ბაახიას ყურადღება.

სამკითხველო გარეგნული მხრივ მორთული გვაქვს ბელადების სურათებით, დიაგრამებით, პლაკატებით, რუქებით და სხვა. აქვეა გამართული ლენინისა და ანტირელიგიური კუთხეები.

ასეთია ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობის სურათი, რომელიც კიდევ უფრო მშვენიერი და მიმზიდველი გახდება, თუ არ მოგვაკლდება სათანადო ყურადღება.

ზრიან.

სამხ. ტრიბუნალში.

დეზერტირის საქმე.

26 ივლისს, რევტრიბუნალმა, თავმჯდომარის ლომიძის და კოლეგიის წევრების გაბუნიას და ქანთარიას შემადგენლობით, გაარჩია საგ. ბატარ. წითელ არმიელის ისაკ რაზმაძის საქმე.

აღნიშნული წ. ა. ჯარში გაუწვევიათ წრეულს. ჯარში 19 დღის სამსახურის შემდეგ, სახელდობრ 2 ივლისს, იგი გაპარულა სახლში (ბორჩალოს მაზრაში) და თან წაუღია სახაზინო ქონება. რვა დღის დეზერტირობის შემდეგ იგი თავის ნებით გამოცხადებულა უკანვე ნაწილში.

სასამართლოს წინაშე, თავის გასამართლებელ მიზეზათ მან დაასახელა ის გარამოება, რომ ცოლი ველარ არჩინეს მშობლებმა სოფელშიო და ისედაც უკმაყოფილეობა იყო სახლში, რის მიზეზითაც ცოლი მეზობელთან გადასულა საცხოვრებლათ. რომ გამოერკვია მდგომარეობა ბრალდებული რაზმაძე გაიპარა სახლში. სოფელში წასვლით მას უნდოდა კიდევ, თურმე ელო ალმასკომიდან მოწმობა, ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

ზემოდ აღნიშნულისა გამო რევტრიბუნალმა გადაუწყვიტა ბრალდებულ რაზმაძეს 3 თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება და 200 მანეთის ქონების ჩამორთმევა. **დ.**

ახალი ამბები.

— **წითელი დროშის ორდენის ტარების შესახებ.** ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსში მუხლი წითელი დროშის ორდენის უნებართვოთ ტარების შესახებ. კოდექსის ძალით დამნაშავენი დასჯილ იქნებიან 100 მან. ჯარიმით და მათი სახელის პრესაში გამოქვეყნებით.

— **მთავრობის სახლი.** ა. კ. სახკომსაბჭომ წინადადებით მიმართა სახლის ამშენებელ კომისიას დაკვრითი წესით დაარღვიოს ძველი შენობა და შეუდგეს ახალის აშენებას.

— **მუშფაკელებს.** ა. კ. სახკომსაბჭომ ტფ. პოლიტ. ინსტიტუტის მუშფაკელებს გადასცა სუბსიდიის სახით 3000 მ.

— **მოვალეობის მსხვერპლნი.** 1921 წლის მაისიდან ა. წ. ივნისამდე ყოფილა ყაჩაღებთან 194 შეტაკების შემთხვევა მილიციის მხრივ. მოვალეობის მსხვერპლათ შეწირულია 69 მოკლული და 31 დაჭრილი.

— **წყალსადენი სოფლად.** ა. კ. წყალთა მეურნეობის სამართველომ გაგზავნა სოფ. ასკანაში (გურიაში) ტეხნიკოსები წყალსადენის გამოსაყვანათ და გამოკვლევების მოსახდენათ.

— **გლეხკომები ხსნიან სახელოსნოებს.** სოფ. კაჭრეთის სარაიონო გლეხკომების კონფერენციამ დაადგინა გახსნას სამჭედლო, სახარაზო და მოაწყოს სახერხი ქარხანა.

— **ექიმობა ახტალის ტალახით.** სოც. უზრ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საკურორტო სამმართველოს წინაშე, რათა ნება დართონ ულარიბეს გლეხობას ახტალაზე უფასოთ ექიმობისა.

— **შუამდგომლობა სამეურნეო იარაღების შესაძენად.** სოფ. კაჭრეთის რაიონის გლეხთა კომიტეტების კონფერენციამ შუამდგომლობა აღძრა სამაზრო გლეხკომების წინაშე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენის შესახებ.

— **მოსავალი ქვემო რაჭაში.** ქვემო რაჭიდან ჩამოსულთა ცნობით, წელს მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც სეტყვა არ ყოფილა.

— **პურზე ფასების დაწევა.** დღეს ქ. აღმასკომთან შესდგება სპეციალური კომისიის სხდომა პურზე ფასების დაწევის მიზნით.

— **წითელ არმიელთა წერილების გადაგზავნა,** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის დადგენილებით წითელ არმიელებს შეუძლიათ თვეში 3 უფასო წერილის გაგზავნა.

— **ფართლეულობა სოფლებისათვის.** შინაგან ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა საქართველოში შემოსულ ფართლეულობის სამოცი პროცენტი გაგზავნოს სოფლებში, კოოპერატივების და გლეხკომების საშუალებით. გლეხობაში გასანაწილებლად.

— **ახალი რადიო სადგურები.** ა. კ. რადიო-ინსპექციის ცნობით ტფილისში, ბაქოში და ერევანში გახსნიან ახალ რადიო სადგურებს.

მეცნიერება და ტეხნიკა

პროფესორ მიტეს ეპოქალური აღმოჩენა.

ოქროს მიღება ვერცხლის წყალიდან.

პროფ. მიტეს აღმოჩენა მართლაც რომ ეპოქალურია და სენსაციური ხასიათის მატარებელი. მან შესძლო—ნამდვილად კი შეამჩნია, რომ დიდი ძალის ელექტრონული ჩქერის ზედმოქმედებით სინდიყიდან (ვერცხლის წყალი) ჩნდება ოქრო.

რამოდენიმე წელიწადია რაც პრ. მიტე მუშაობს გამჭვირვალე ლითონების და მინის შეღებვის საქმეში ე. წ. უჩინარი ულტრა იისფერი სხივების მოხმარებით. ამ ცდების დროს ის ხმარობდა ჩვეულებრივ სინდიყიან სანათურებს.

გასული წლის ივნისში პროფ. მიტე გაეცნო იენკეს სინდიყიან სანათურს, სადაც ელექტრო ნაკადის ანოდი უერთდება ატმოსფერას და ამნაირად მიიღება პოცენტიალების დიდი სხვაობა. მიტემ შეამჩნია, რომ დიდი ელექტრონული ძალის დატვირთვით, აღნიშნული სანათური ცვდება და შიგნით ჩნდება სქელი შავი ლაქა:

მიტემ და მისმა ასისტენტმა მოახდინეს ამ შავი ლაქის ანალიზი და მათ გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როცა იქ აღმოჩნდა ოქრო.

პრაქტიკულად—ეკონომიური მნიშვნელობა ძნელად თუ მიეწერება მიტეს აღმოჩენას.

ამას თვითონ აღნიშნავს ის, მაგრამ თავის-თავად ეს აღმოჩენა მეტად დიდი მნიშვნელობისაა და ბევრ რამე ახალს უწინასწარმეტყველებს მეცნიერებას. ჭეშმარიტად ეპოქალური აღნიშნული აღმოჩენა.

მინკეს სათაურში ოქროს მიღება, როგორც ცდებიდან გამოირკვა, ძლიერაა დაკავშირებული პოტენციალების დავარდნისა და აწევის მინიმუმთან. ეს იქედანაც ირკვევა, რომ ჩვეულებრივ მცირე სანათურებში ამ მოვლენას არა აქვს ადგილი. აქედან თავის-თავად გამომდინარეობს, თუ რა ძვირი დაჯდება ხელოვნურად ოქროს მოპოება.

ეს კიდევაც გამოუანგარიშებიათ. ერთი დოლარის რაოდენობით ხელოვნური ოქროს მოპოება აღნიშნული წესით გერმანულ მარკებით 60 მილიონი მარკა ჯდება, ბერლინში არსებულ ელექტრო-ენერგიის ფასებში, და 20 მილიონი ნიაგარის წყალვარდნილის ენერგიის ფასებში (ამერიკაში).

როგორც თვით პროფესორი მიტე იტყობინება, მან შესძლო მილიგრამის ერთი მეათედი ოქროს მოპოება ასეთი გზით.

საყურადღებოა ის გარემოება, თუ ჩვენ სინდიყის ატომიურ წონას (201) გამოვაკლებთ, ყველასათვის ცნობილი გაზის—ღელიუმის ატომიურ წონას (4) ვღებულობთ ოქროს ატომიურ წონას (197). მიუხედავათ ამისა მიტემ ვერ აღმოაჩინა იქ ღელიუმი და ვერც წყალბადი. ეს საკითხი კი დიდი თეორეტიული მნიშვნელობისაა თავის-თავად.

ცნობების თანახმად მიტე ისევ გულმოდგინეთ განაგრძობს მუშაობას ამ აღმოჩენის ირგვლივ.

მოქ. სანი იმნაიშვილის საპასუხოდ.

გაზ. „წითელ არმიელის“ № 551 ნომერში მოთავსებულია მოქ. სანი იმნაიშვილის წერილი, სადაც ავტორი მიუთითებს ქ. პირველ ლეგიონში „გამეფებულ სანიტარულ უწესრიგობაზე“.

წერილი მიმართულია ამავე ლეგიონის საექიმო პერსონალის წინააღმდეგ და გვაფრთხილებს, განსაკუთრებით ამ ზაფხულის პერიოდში დავიცვათ სისუფთავე და სხვა.

მოქ. იმნაიშვილის საყურადღებოთ უნდა განვაცხადოთ: მიუხედავათ იმისა, რომ პირველი ლეგიონის ექიმ-ფერშლების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, ახალ წვეულების მოსვლის და ტერლეგიონში საექიმო პერსონალის გადაჯგუფების გამო, მაინც არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ პირველი ლეგიონის საგუშაგოზე არ ყოფილიყოს თითო ექიმის თანაშემწე მაინც. და ამ მხრივ ყოველთვის მიღებული იყო სათანადო ზომები.

რაც შეეხება უსუფთაობას და ახალწვეულებში ვენერიული და სხვა ავადმყოფობის შესახებ, შემდეგი უნდა განვაცხადოთ: ლეგიონში ერთი წყალსადენი მილია და ისიც როგორღაც ლეგიონის ერთად-ერთ ფეხის ალაგთანაა მოთავსებული. პირველ ხანებში, როდესაც წესრიგსა და სისუფთავის დაცვას მიუჩვეველი 1500 ახალწვეულები ხმარობდენ, როგორც წყალსადენ მილს, ისე ფეხის ალაგს, ცხადია უსუფთაობას ექნებოდა ადგილი. განსაკუთრებით ასეთი პირობების დროს, მაგრამ როდესაც ახალწვეულებს შევაგნებიეთ თუ რა უბედურების მოტანა შეუძლია უსუფთაობას, ამასაც ბოლო მოეღო. ეხლა ავადმყოფობის შესახებ.

მართალია ახალწვეულებში აღმოჩნდენ ვენერიული ავადმყოფობით შეპყრობილნი და ზოგიერთი ბლერითაც, მაგრამ ამის წინააღმდეგ სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები. ტანთ გასინჯვის კომისიამ ბლერიანები იზოლიაციაში მოათავსა, ხოლო ვენერიული ავადმყოფობით შეპყრობილნი კი ამბულატორიაში იქნენ გადაგზავნილი.

შემდეგ მოქ. იმნაიშვილი ბრალს გვდებს თითქოს ჩვენ სრულიად არ დავიარებოდეთ ასეულებში. ეს პირწავარდნილი სიცრუეა. მაშ ვინ კითხულობს ასეულებში სანიტ-ლექციებს და ვინ დადის ყოველ დილა საღამოობით? „მოვლენ თორმეტ საათზე და ბრუნდებიან ორზეო“.

აი საიდან აშკარავდება ავტორის სიცრუე. თუ სულ არ დავდიკართ, მაშ როგორ მოვდივართ თორმეტზე და ვბრუნდებით ორზე? მაგრამ ესეც ტყუილია. ეს მხოლოდ ექიმების თანაშემწეებზე თუ ითქმის, რომლებიც კურსებზე დაიარებოდენ, მაგრამ ამით არასდროს არ შეფერხებულა საქმე.

მოქალაქე იმნაიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ თითქოს ჩვენ ავადმყოფებს ვსინჯავდეთ მხოლოდ და წამლებს კი არ ვაძლევდეთ. მობრძანდით ჩვენთან მოქ. იმნაიშვილო, გადაათვალიერეთ გამოწერილი რეცეპტები და ნახავთ ვის ვაძლევთ წამლებს და ვის არა.

ამნაირად ამ მხრივ ჩვენ ყოველგვარ ზომებს ვიღებდით და ოდნავ სიცუდლუტეს ჩვენში ადგილი არ ჰქონია.

ლეგიონში წესიერად მიმდინარეობს სანიტ-საათები, ავადმყოფობის ნაკლები შემთხვევებია წინანდელთან შედარებით. ყველა ამ სიტყვებს ადასტურებს გაზ. „წითელ არმიელში“ ლეგიონის სამხედრო კომისრის წერილი.

ჩვენ ძლიერ გვიკვირს რად დაგჭირდათ ასეთი ცრუ ფაქტებით ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა და უსაფუძვლო დეფექტებზე მითითება.

მაგნაირი ინფორმაციით გაზეთის ფურცლებზე ჯირითი ვერაა კარგი საქმე. რაც თქვენ ჩვენს წინააღმდეგ სწერეთ, ამას ვერ იტყვის კაცი, თუ არა უბრალო სიტყვის მასალა. იცოდეს საზოგადოებამ, რომ თქვენს წერილს თავიდან ბოლომდე არავითარი კავშირი არა აქვს სინამდვილესთან.

1-ლ ლეგიონის საექიმო პერსონალის შემადგენლობა:

უფროსი ექ. ფხაკაძე, უნცრ. ექ. ლომთათიძე და დუმბაძე. თანაშემწენი: კერესელიძე, სოსელია, სიჭინავა, ქუთელავა და შუბლაძე (ერთის გვარი გაურკვეველია).

შენიშვნა: ამხ. სანი იმნაიშვილის კორესპონდენციის საწინააღმდეგო წერილს მოქ. ექიმებისა და მათი თანაშემწეებისას ვათავსებთ, თუმცა რედაქციას სხვა პასუხისმგებელ ამხანაგების წერილებიც მოეპოება პირველ ლეგიონის ყაზარმაში დგომის დროს სანიტარულ ზომების მიუღებლობაზე და საექიმო პერსონალის მიერ თავიანთ მოვალეობის პირნათლად არ შესრულებაზე ვათავსებთ რა ექიმების წერილს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ სალაპარაკო არავის ქონდეს—პირი დაგვიხშესო.

გარდა ამისა უნდა შევნიშნოთ მოქ. ექიმებს და მათ თამაშემწეებს, რომ მითითება იმაზე, თუ რაზე უნდა სწერონ ჩვენმა კორესპოდენტებმა და რაზედ არა—მათ მოვალეობას არ შეადგენს.

და ამისათვის ტყუილ უბრალოდ თავს ნუ იწუხებენ.

საჭიროა გარდა ამისა ვიცოდეთ, რა ზომებია მიღებული ლეგიონის სამხედრო კომისრის, თავისა და სანიტარულ განყოფილების მიერ.

რედაქცია.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. კუპუხიძეს. არ გამოგვადგა. მოგვაწოდეთ კორესპოდენციები.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.